# სამუშაოები და მასალები აჭარის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამისთვის (ლოტი1)

სატენდერო განცხადება- KfW

| | |
|---|---|
| ქვეყანა: | საქართველო |
| წარდგენის ვადა:30.05.2023; | 12:00 სთ. საქართველოს დროით (GMT+4hr), |
| დაფინანსების წყარო: | KfW -ს განვითარების ბანკი |
| საცნობარო ნომერი: | BMZ 201366921 |
| ICB ნომერი: | 509 563 |
| სატენდერო პროცედურა: | საერთაშორისო საკონკურსო ტენდერი (ICB) |
| თემა: | სამუშაოებისა და მასალების შესყიდვა აჭარის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამისთვის; საქართველოს რესპუბლიკა |

მოთხოვნილი მომსახურებები:

ლოტი 1 - სამუშაოებისა და მასალების შესყიდვა აჭარის წყალმომარაგებისა და წყალარინების პროგრამისთვის; საქართველოს რესპუბლიკა;

სამუშაოებთან დაკავშირებით კონტრაქტორებს შეუძლიათ გამოხატონ ორი სამუშაო კონტრაქტიდან ერთ ან მეტ კონტრაქტზე მონაწილეობის მიღების ინტერესი აჭარის ხუთ მუნიციპალიტეტში . სამუშაოები დაახლოებით შედგება შემდეგისგან:

- წყალმომარაგების 110 კმ სიგრძის მილსადენის რეკონსტრუქცია, მათ შორის ყველა სახლის დაერთება და წყლის მრიცხველების მოწყობა;
- დაახლოებით 15 რეზერვუარის, 10 წყლის სათავე ნაგებობის, 5 წყლის გამწმენდი ნაგებობის, 3 სატუმბი სადგურის მშენებლობა და რეაბილიტაცია;
- დაახლოებით 25 კმ სიგრძის წყალარინების ქსელის რეკონსტრუქცია და ყველა სახლის დაერთება;
- 9-მდე წყალარინების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა (თითოეული 2000-ზე ნაკლები ადამიანისთვის საჭირო წარმადობის): დაახლოებით 8 ვერტიკალური ნაკადით აშენებული ხელოვნური ჭაობის (ნედლი ჩამდინარე წყლების პერიოდული კვება და გამოყენებული ფილტრის კალაპოტების მონაცვლეობა) და წვეთოვანი ფილტრის, ან მბრუნავი ბიოლოგიური კონტაქტორის გამწმენდი ნაგებობის მოწყობა;
- წყალარინების 1000-მდე ინდივიდუალური ობიექტის მშენებლობა ადგილზე;
- 5 ახალი საწყობის მშენებლობა (თითო ხუთივე მუნიციპალიტეტში).

სამუშაოები დაყოფილია ანალოგიური მახასიათებლების (როგორც ბუნება, ისე რაოდენობა) მქონე ორ ლოტად (1A და 1B).
საპროექტო ტერიტორია უპირატესად მთიანია, ხასიათდება ცივი ზამთრით და მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვით, რაც დაკავშირებულია საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების განსაკუთრებულ გამოწვევებთან.

სატენდერო დოკუმენტები KfW-ის სტანდარტული შესყიდვის დოკუმენტებისგან განსხვავდება ტექნიკური შესაბამისობის შეფასების თვალსაზრისით. ტექნიკური ვარგისიანობის შეფასება კვალიფიკაციის შეფასების ნაწილია.